PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის - "ფოტოგრაფია" - მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

თეა ბარამაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფოტოგრაფია	30	24	2

შენიშვნა: ვინაიდან მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, ექპერტებმა აქტიური და სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღეს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N 163570 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის - "ფოტოგრაფიის" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა),ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, ასევე ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 8 თებერვლის N 73881 და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის 2021 წლის 8 თებერვლის N 75982 წერილებში არსებული გარემოებების შესწავლა და დასკვნაში ასახვა.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შედგა მონიტორინგის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 4 მარტს განხორციელდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საუბარი შეეხო ზ/აღნიშნულ წერილებში აღნიშნულ გარემოებებს, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 27 იანვარს წარდგენილ იქნა N 34361 კორესპონდენცია კოლეჯის ფოტოგრაფიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ფოტოგრაფიის ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. ინფორმირების ფორმაში დაწესებულებამ ასახა, რომ "2019 წლის მიღებაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს ათვისებული აქვთ იმ მოდულების უმეტესობა, რომელსაც შეეხო ცვლილებები, რის გამოც მიზანშეწონილია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ფოტოგრაფია" განხორციელეს 2019 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის" .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში დებულება) 53-მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: "იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში". ცენტრმა ითხოვა დაწესებულებისგან განმარტება, თუ რატომ არ მოხდა ცენტრის ინფორმირება პროფესიული სტუდენტების ზემოაღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასთან დაკავშირებით დებულების 53-მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ ვადებში.

დაწესებულებამ 2021 წლის 8 თებერვალს N75982 ცენტს პასუხად გაუგზავნა კორესპონდენცია, სადაც აღნიშნა, რომ კოლეჯმა იხელმძღვანელა 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 53-მუხლით, რომელიც მათ მიერ განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში ითვალისწინებდა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე 60 დღით ადრე ცენტრის ინფორმირების ვადას; ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ იმავე ვადაშივე უნდა მომხდარიყო პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დატოვების ინფორმირებაც. ეს ვარაუდი ასევე გაუმყარათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულმა ინფორმირების ფორმებმა. კერძოდ, ცენტრის ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში (ჩარჩო დოკუმენტში) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ინფორმირების ფორმაში მოცემულია გრაფა - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში განხორციელების თაობაზე, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა დასახელებული ორი ინფორმაციის ერთდროულად 60 დღიან ვადაში ცენტრისთვის მიწოდების მართებულებაში.

წერილში მოყვანილი გარემოებები კიდევ ერთხელ განმარტეს დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და ადმინისტრაციამ, აღნიშნეს, რომ კოლეჯის ქმედება მიზნად არ ისახავდა საკანონმდებლო რეგულაციის დაცვისაგან თავის არიდებას; მით უფრო, რომ კოლეჯი ყოველთვის ახდენს ცენტრის ინფორმირებას ნებისმიერ საკითხზე; ეს გაურკვევლობა გამოიწვია მხოლოდ კოლეჯის გამოუცდელობამ აღნიშნულ ცვლილებასთან მიმართებით და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმირების ფორმის არასწორად გაგებამ. ამ საკითხზე კოლეჯი მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა მომავალში გამოირიცხოს ცენტრისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმირების ვადების დარღვევა.

ექსპერტების მიერ ასევე განხორციელდა ფოტოგრაფიის პროგრამის მატერიალური რესურსებით აღჭურვილი სასწავლო გარემოს ონლაინ დათვალიერება, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.
დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებს დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორისთვის წარდგენის ფუნქცია - რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- გასწორდეს „კიკალა სტუდიოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოდულების დასახელებაში დაშვებული უზუსტობები - რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას პირადი განცხადების საფუძველზე, სასურველია დაემატოს -რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- სასურველია კოლეჯმა როგორც სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, გააფორმოს მემორანდუმები მონათესავე პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში -რეკომენდაცია გათვალისწინებულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასურველია ბიბლიოთეკა გადატანილ იქნას ისეთ სივრცეში, რომელიც ექნება დამოუკიდებელი შესასვლელი -რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- გასწორდეს დაწესებულების სტრუქტურაში, წესდებაში, საშტატო განრიგში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში არსებული შეუსაბამობები -რეკომენდაცია გათვალისწინებულია;

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფოტოგრაფია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში / Secondary Vocational Qualification in Photography
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია კოლეჯის დირქეტორის 2018 წლის N41 ბრძანებით/ ბოლო ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის N1086381 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, უზნაძის 68
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	47
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		**შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ფოტოგრაფია განხორციელება შეესაბამება მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, პროგრამების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსი და გამოცდილება, რომელიც გააჩნია კოლეჯს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სახით დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 მარტის N42 ბრძანებით, კოლეჯის დირექციას 29 წლიანი ისტორია გააჩნია სატელევიზიო სფეროში კადრების მომზადების გამოცდილებით. კერძოდ: 1989 წელს ზურაბ ოშხნელის მიერ შეიქმნა სასწავლო -სატელევიზიო სტუდია, რომელიც 1991 წლიდან ჩამოყალიბდა საყმაწვილო სატელევიზიო რესპუბლიკურ ცენტრად. 1992 წელს საყმაწვილო - სატელევიზიო რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ტელეპროფილური ფასიანი სკოლა მედიის სფეროში პროფესიული კადრების მოსამზადებლად, რომელიც 1993 წლიდან გადავიდა სახელმწიფო დაფინანსებაზე. 1995 წლიდან ეწოდა სასწავლო - სატელევიზიო რესპუბლიკური ცენტრი და მასთან შეიქმნა სრულ სამეურნეო ანგარიშზე არსებული სატელევიზიო ხელოვნების უმაღლესი სკოლა; 2000 წელს ტელეპროფილური ლიცეუმის ბაზაზე შეიქმნა მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი. 2006 წლიდან დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯის სახით. საქართველოს მთავრობის 2007 წლის დადგენილებით მედიის, რეკლამისა და სატელევიზიო ხელოვნების კოლეჯი შეურთდა სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს როგორც სტრუქტურული ერთეული. „სასწავლო სატელევიზიო ცენტრი“ ახორციელებდა პროფესიული კადრების მომზადებას მედიის სფეროში. კოლეჯის სიცოცხლის უნარიანობა უპირველეს ყოვლისა განაპირობა შეთავაზებულმა განათლების მაღალმა ხარისხმა, მზარდმა დაკვეთამ საზოგადოების და დამსაქმებლების მხრიდან. კოლეჯს თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი წარმატებისთვის აქვს მიღწეული როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო პროექტებსა და კონკურსებში. 1990 წლიდან 2003 წლამდე პირველ არხზე (ამჟამინდელ საზოგადოებრივ მაუწყებელზე) გადიოდა სტუდენტების მიერ მომზადებული გადაცემები. 1997 წელს სატელევიზიო სკოლა გახდა მედიის მსოფლიო ფესტივალის გამარჯვებული. წარმატებული იყო ასევე ესპანეთში, რუსეთში, დანიაში, ბელგიაში, აშშ -ში განხორციელებულ ვიდეო - პროექტებში მონაწილეობა. აღნიშნული აქტივობები განაპირობებდა კურსდამთავრებულთა მაღალ კვალიფიკაციას და დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მაჩვენებელს და ხარისხსს. კოლეჯის მიერ მომზადებული კადრების წარმატება განაპირობებდა ასევე წლების განმავლობაში კოლეჯში სწავლის მსურველთა მაღალ მაჩვენებელს მაგ. 2018 წელს საშემოდგომო მიღებაზე 30 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 163 აპლიკანტი.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის ხელოვნების მიმართულების და მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის დარგის/სპეციალობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების კონკურსის ჩატარების წესით, რომლის ანალიზით დასტურდება, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: პროფესიული პროგრამის განხორციელების სპეციფიკა (კომპიუტერული კლასების გამოყენების ინტენსივობა, სხვა მატერიალურ-ტექნიკური სასწავლო რესურსის რაობა და რაოდენობა); სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კვირეული საკონტაქტო დატვირთვა; A, B და C გარემოების გამტარუნარიანობა და 2 ცვლაში მათი გამოყენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაძლებლობა; ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით); "შესავალი პროფესიაში" მოდულის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმით განსაზღვრული ერთჯერადად წარმოებაში დასაშვებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა; ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები და დამამთავრებელთა რაოდენობის გათვალისწინებით; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროისთვის ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და მიღებულ სხვაობას ემატება სწავლის დაწყების მომენტისთვის ამავე პროგრამის დამასრულებელ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ფოტოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები (ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი), უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა ფოტოგრაფია არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი დასკვნის საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი, ცვლილებების შემთხვევაშიც გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება. ექსპერტების მიერ ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებით დგინდება, რომ ფოტოგრაფიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია და შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა ფოტოგრაფია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული ფოტოგრაფიის პროფესიასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ პროგრამის დასახელება არ შეცვლილა.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი - ფოტოგრაფია - Photography , სარეგისტრაციო ნომრით 02116-პ, აღსანიშნავია, რომ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება, რომელიც დამტკიცდა ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 მაისის N 374091 ბრძანებით, ამავე ბრძანების მეორე პუნქტად განისაზღვრა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში - „ფოტოგრაფია" შეტანილი ცვლილება ძალაში შესულიყო ამ ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ. დაწესებულებამ ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განახორციელა ცვლილებები პროგრამაში და 2021 წლის 27 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში N 34361 კორესპონდენციით წარადგინა კოლეჯის ფოტოგრაფიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ფოტოგრაფიის ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით ინფორმაცია. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა (ქართული ენით და ქართული ენის გარეშე), ადაპტირებული მოდულები, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ, ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ფოტოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, რომელშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და ცვლილების აქტები;
- დათვალიერების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში: დილის ცვლა და საღამოს ცვლა, რომლის დატვირთვა რეგულირდება სასწავლო ცხრილებით. თოთოეულ ცვლაში შესაძლებელია ექვსი ჯგუფის მიღება. ფოტოგრაფიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, რომლის განსახორციელებლად გამოიყენება A2 აუდიტორია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო რესურსებით ორ ცვლაში, B1 აუდიტორია 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო რესურსებით ორ ცვლაში, C6 (მრავალფუნქციური პავილიონი) გარემო 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით ორ ცვლაში და C4 (ღია სივრცე) გარემო. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი, ინვენტარი და აღჭურვილობა შესყიდულია კოლეჯის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი შესყიდვისა და მიღება ჩაბარების დოკუმენტებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები „კიკალასტუდიოსთან“ და „ააიპ საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციასთან“ მოდულის „შესავალი პროფესიაში“ სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფოტოგრაფიის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ფოტოგრაფიის პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს სულ 23, მათ შორის დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 11, პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ფოტოგრაფიის პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ფოტოგრაფიის პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეებით, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სამუშაო გამოცდილებით, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და განმახორციელებლებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ფოტოგრაფიის პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი: აწყობს შეხვედრებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან პროგრამის გაცნობის მიზნით; აწყობს პერიოდულ შეხვედრებს პროფესიულ მასწავლებლებთან მოდულებში აღმოჩენილი შეცდომების/უზუსტობების განხილვისა და აღრიცხვის მიზნით. ახდენს შედეგების ანალიზს და სასწავლო დეპარტამენტისთვის მოდულების გასაუმჯობესებელი რეკომენდაციების შემუშავებას; ახდენს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში დასმული საკითხების განხილვა/ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში მათთვის მსვლელობის მიცემას; ადგენს მოდულების ფარგლებში სტუდენტებისთვის მოსამზადებელი თვალსაჩინო მოწყობილობების ან მასალის (ფოტო, ვიდეო, გრაფიკა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რაობას; სასწავლო და საწარმოო დეპარტამენტების მენეჯერების ჩართულობით ადგენს თვალსაჩინო მასალის მომზადების ვადებს პროგრამის მიმდინარეობის გრაფიკის გათვალისწინებით; ხელმძღვანელობს საწარმოო დეპარტამენტის დაკომპლექტებულ ჯგუფს თვალსაჩინო მასალის მოსამზადებლად; ეცნობა კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაცულ ლიტერატურას მოდულების სასწავლო რესურსის განახლების/გაუმჯობესების მიზნით; საჭიროების შემთხვევაში სასწავლო დეპარტამენტის სახელზე წერილობით აყენებს საკითხს სასწავლო ლიტერატურის განახლების თაობაზე; მონაწილეობს პროგრამის ბიუჯეტის შედგენაში; სასწავლო დეპარტამენტის ფარგლებში ჩართულია პროგრამის შინაარსისა მისთვის საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე; კოლეჯის დირექტორის მოადგილესთან და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობს მოდულებზე მოსაწვევი პროფესიული მასწავლებლების კანდიდატების შერჩევის პროცესში; მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცედურაში; მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ფოტოგრაფიის პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის განკუთვნილი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, საგანმანათლებლო რესურსების მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში უზრუნველყოფილია სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალი გადაადგილება. კოლეჯის შენობაში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით და ლიფტით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მოხვდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის ის სერვისი (სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და სხვ.), რაც საჭიროა განათლების მისაღებად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა სასწავლო რესურსების ადაპტირებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, დაწესებულებას ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სსსმ პირებისათვის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სერვისებით სარგებლობის მიზნით ადაპტირებულია გარემო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ფარგლებში არ ჰყავთ ისეთი სსსმ პირი, რომელსაც აღნიშნული სერვისით სარგებლობა დასჭირდა, თუმცა მეთოდოლოგიების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ყველა შესაძლო შემოსავალი და ხარჯი რომელიც შეიძლება ქონდეს პროგრამას. შემოსავალის წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული (მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული) და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- რესურსების შესყიდვის და მიღება-ჩაბარების აქტები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ფოტოგრაფიის პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად; სასწავლო გეგმა ისეა აწყობილი, რომ ერთმენათთან ლოგიკური კავშირი იკვეთება. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. კალენდარულ გეგმას თითოეული პროფესიული მოდულისთვის ადგენს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის განხორციელების დაწყებამდე.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შემუშავებული მეთოდოლოგიების და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე; დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ასევე შიდა მონიტორინგის სამსახურის ანგარიშები, რომელთა ანალიზით ჩანს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეკომენდაციების გაცემა. დაწესებულებამ ასევე განახორციელა იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სწავლების დისტანციური მეთოდით და განახორციელა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზება, კოლეჯის სასწალო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად ვალდებულია იზრუნოს სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებაზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ყველა სასწავლო აუდიტორია/ ფოტოგრაფიის ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. სასწავლო პროცესის მენეჯერის და მასწავლებლების განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულია, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შეთავაზება პროფესიული სტუდენტისათვის კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით, მობილობით გადმოსული პირის და სტატუსაღდგენილი პირის სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად. დაწესებულების წარმომადგენლებთა გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტები(2018 წლის მიღება), რომელიც პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს ვერ აღწევდნენ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით განახორციელეს ინდივიდუალური გეგმის შედგენა პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, დაწესებულებამ ასევე სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განახორციელა ინდ გეგმის შედგენა. დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ფოტოგრაფიის პროგრამის ფარგლებში „კიკალასტუდიოსთან“ და „ააიპ საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციასთან“ მოდულის „შესავალი პროფესიაში“ სასწავლო ექსკურსიების განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. მემორანდუმები მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლება-მოვალეობების, პრაქტიკაზე შესაბამისი დარგის ინსტრუქტორს გამოყოფის და სხვა მნიშვნლოვანი საკითხების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ფოტოგრაფიის პროგრამის განხორციელების სპეციფიკა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფოტოგრაფიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. შესაბამისად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმები, ვერიფიკაცია ხორციელდება სამიმიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების სისტემის და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაცია.
ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შეფასების ინსტრუმენტების მტკიცებულების სისწორისა და ნამდვილობის პერიოდულ დადასტურებას (ვერიფიკაციას);
დაწესებულებამ აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით განახორციელა ვერიფიკაცია, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი მასალები, კერძოდ ვერიფიკაციისთვის შეფასების ინსტრუმენტები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:
ა) შეფასების ინსტრუმენტით დიდი რაოდენობის პროფესიული სტუდენტი შეფასდა;
ბ) შემფასებელ პირს არ აქვს მოდულურ პროგრამებზე სწავლების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება;
ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად ვერიფიკაციის ჯგუფმა შეისწავლა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ჩატარდა გასაუბრება რამდენიმე პროფესიულ სტუდენტთან. ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდა ინტერესთან კონფლიქტის სრული დაცვით. ვერიფიკატორების შეფასება და კომენტარები სრულად არის აღწერილი ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნაში, რომელიც მომზადებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ და წარდგენილია მოხსენებითი ბარათით კოლეჯის დირექტორთან. ვერიფიკაციის ანგარიში გაეცნო დაინტერესებულ პირებს და დაიგეგმა შემდგომი განვითარების გზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება მოდულის განმახორციელებელ პირთან; მოდულის დასრულების შემდეგ აღრიცხული მტკიცებულებები ბარდება სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერს და ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. საბოლოო შეფასების უწყისები ივსება მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ მისი დასრულებისთანავე ან სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბარდება სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერს; პროგრამის დასრულების შემდეგ უწყისები გადაეცემა ადამიანური რესურსების, რეესტრის და საქმისწარმოების მენეჯერს დაარქივების მიზნით;

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელ შეფასებაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შესაფასებელ პირს აცნობს ინდივიდუალურად, ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს პირისპირ ან წერილობით. ჯგუფისთვის შეფასების შედეგების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისგან წინასწარ მოიპოვებს თანხმობას. ხარისხის მართვის მენეჯერი დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებთან და სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერთან ერთად კოლეჯის დირექტორისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი;

15.03.2021 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: